

საქართველო

№ 385



გაზეთის ფასი:

წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. დაბადებით 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადახადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კი დევ ნაწილნაწილად

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ კვირულში პეტით ღირს 15 კ., უკანასკნელი კვირის სხვა ადგილებიდან კავკასიის გაზეთში მისულ განცხადებებს ფასი: სტრიქონი პეტით ტექსტის წინ 30 კაბ., უკან 20 კაბ. გლობალური განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურული გაზეთი.

ქ. შ. წ. კ გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა, აუწყებს რა საზოგადოებას საზოგადო მოღვაწის და მწერლის **ალექსანდრე ეიფშიძის (ა. ფრონელი)** გადაცელებას, სთხოვს მას დაეწიოს პანაშვიდს, რომელიც დანიშნულია გამგეობის მიერ განსვენებული სულის მოსახსენებლად სამშაბათს, 21 ივნისს დღის 12 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში.

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული მინი ასწავლებელი (ტომით რუსი) რჩება რა** სასაფუხლოდ ქუთაისში,

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლის ევგენ კლასისათვის, სწავლავს რა კი რუსულ ენაში. მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა ზირადად მოლანარაგებს ნაშუადღევს 2—5 საათამდე. 4—1

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ახალი პროგრამა. **პატი შურნალი**, მიმდინარე ამბები. **პეი, რუმბო, ბასნიით მარათი!** ძლიერი დრამა 4 ნაწილ. მოსკოვის ყოფილ მილიონერის ცხოვრებიდან და ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე შედგენილი. მონაწილეობენ ცნობილი მსახიობნი: ბაქმევი და ავათა ბერლენი.

ნადირობაც ამასა ჰქვიან. კომიკური.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნახევარი იქნება: **პატი შურნალი**, მიმდინარე ამბები. **მგაცებელთა ხელში.** ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **სალომეს ციკა** კომიკური.

სიკვარული ხუნდთა პრინცესასი. ძლიერი დრამა 3 ადგილად განუთავლებათ. ცერკში მთავარმოქმთა ცხოვრებიდან. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **ბანა მს ძალიან!** კომიკური.

არსრუმის ადების ერთი ეპისოდი ანუ **ნეს პოლიკის ჯარის კაცის, ლი-ჯავბა ბაჟიროვის გმირობა.** დრამა ორ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **იშვარული ცხელუბრა** მხიარული კომედია 3 ნაწილად მალაოროსთა ცნობილ მსახიობის ლეშინსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „ამპირს“ და „რადიუმში“: ლოკა 85 კაბ., 1 ადგილზე 75 კაბ., 2, 50 კაბ., 3, 30 კაბ. მოწაფეთათვის: 2 ადგილზე 30 კაბ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაბ.

პეი გაბრიელ იოსების ძე **გოგიასის** ელემენტარისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ფუნქციონალური ავთა მყოფების მიღება დღის 9—12 საათ. სად. სათ. 8-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

პეი ა. ა. ასათიანი. რადიკალური სამსახურის გამო უსურველად გაწვევას მიხედვით წააგდეს ჯგუფის ექიმად მან ავთოფიქსების მიღება 1 ავთოფიქსის შესწავლა. **პეი** ი. ჩარბიძე ქალაქ. საავთუ-ბოლოს ორდინატორი. და **ბარბადა და ბანაბლა** ავთოფიქსების მიღება დღით 1 1/2—2 საათ. სათ. 6—8 საათ მიადებს მხოლოდ კანისა და ვენერული ავთა შესწავლას. მისამართი: ლევაშოვი ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

ლოკტორი მედიცინისა პრივატდოქტორი **მ. ა. გოგიაშვილი** მიადებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სწავლებს დღის 8 ს. ნაშუადღევს 2 საათამდე და საღამოს 6 ს.—8 საათ. 2 ოსმეტლის ქუჩა № 6 თ.

გამოსვლილი გასწავლებელი სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ევგენ და სასწავლებლისთვის ხელმძისა-წვდომ ფასებში. მისამართი: გაზ. „სამოგალოს“ რედაქც.

გსოფლიო ომი.

დეკემბერი.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა. დასავლეთის ასპარეზი. **პატი შურნალი.** 18 ივნისი. მდ. დნესტრის სამხრეთით და ქალ. კოლომეის ჩრდილოეთით ჩვენი მარცხენა ფრთა კვლავ ავიწროვებს მტერს და რამდენიმე პუნქტი დაიპყრო. კოლომიას სამხრეთ-დასავლეთით, ფიცხელი ომის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა მტერი უკუაგდო სპროვოვის სიმაღლეებისაკენ ნაწილი ამ სიმაღლეებისა უკვე იერიშით ავიღეთ კომპოლუნგის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგე წინ წამოსვლას სცილობდა და უკუ ვაქციეთ დასავლეთისაკენ ჩვენი ჯარი ამ ადგილებშია ავიწროვებს მტერს და მთიან ალაგებში მდებარე რამდენიმე მკვიდრი სიმაგრე დაიპყრო. 15-სა და 16 ივნისს გენ. ლეჩიკის ჯარმა 305 აფიცერი და 14574 კაცი წამოიყვანა ტყვეთ, ხელთ იგდო 4 ზარბაზანი და 30 ტყვიის-მფრქვეველი. სულ 22 მაისიდან 17 ივნისამდე ჩვენ დავატყვევეთ 247000 კაცი, ამ რიცხვში აფიცრებიცაა. მდ. სტოხოლისა და სტირის მიდამოებში მტერი კვლავ ანეთარება საარტილერიო ცეცხლს სოფ. ზატურის მიდამოებში ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა. ცხრა დღის განმავლობაში მტრის არტილერია ძლიერ მძლავრად ისვროდა ზარბაზნებს და ზედიზედ იერიშები მოჰქონდა, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთ მტრისათვის დიდი ზარალით. გერმანელებმა თავის ჯარს, რომელიც საიერიშოდ იყო წამოსული და უკან დაიხია, ზარბაზნები დაუშინეს და კვლავ საიერიშოდ გამოიყვანეს, მთელი მინდორი სავსე იყო მტრის მკვდრებით. მდ. სტირისა და სტოხოლის შუა, და უფრო სამხრეთით, ზოგიერთ ალაგს მტერს კვლავ მოაქვს მედგარი იერიშები. გუშინ შუადღის უკან მტერმა ქარიშხლისებური ცეცხლი გაუჩინა კომპლ-გლონოვკა ზაბარის მიდამოებს (სოკულის სამხრეთ დასავლეთით). ამის შემდეგ მტერმა მოიტანა ენერგიული იერიში, რომელიც მოგერიებულ იქნა. ჩვენ დროზედ აღმოვაჩინეთ მტრის ჯარის შეგკვეთება კისელინის ჩრდილო აღმოსავლეთით, სოფ. ტრისტენთან. ჩვენ არტილერიის წყალობით მტერი გეფანტეთ. კისელინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის ხშირი წრეების წინსვლა სოფ. სამეირნიკისაკენ შევაჩერეთ. ამ მიდამოებში და სოფ. ზუბოლონთან ფიცხელი ბრძოლა ზატურის სამხრეთით სოფ. კოშევიან ავსტრიელთა წინსვლა შევაჩერეთ საპასუხო შეტევით. ბარანოვიჩის სამხრეთით, ლიპკის სამხრეთ-დასავლეთით მტერი მდ. შორაზე გადმოსვლას სცილობდა, მაგრამ შევაჩერეთ. მდ. ლიპაზე მტერი კვლავ უშენს ჩვენ ბოზიციებს მძიმე და სუბუქ არტილერიას. გერმანელთა ახლად მოსულმა ჯარებმა მედგარი იერიშები მოიტანეს, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთ მტრისთვის დიდი ზარალით. ჩვენ დავატყვევეთ 9 აფიცერი 419 ჯარისკაცი. მტერმა არტილერიის მძლავრი ცეცხლი გაუჩინა სოფ. გლიადკი ვორობოვკას მიდამოებს (გალიც აშია) იაკობშტატის პოზიციების ხაზზე, მდ. დენის მარჯვენა ნაპირით სადგურ ლიგენოვთან, და უფრო სამხრეთით (?) ქალაქ ლენსკიდან პოლსკი მდგ სროლა.

კავკასიის ასპარეზი. გიუმუშანის მიმართულებით ოსმალები შემოტევის განაგრძობენ მტრის სროლით ვაკეებთ ბლადის მიმართულებით კირინდას მიდამოებში ჩვენმა არტილერიამ დიდი ზიანი მიაყენა მტრის ჯარებს, რომელნიც წინ მოიწვედნენ. **აზღეთის ზღვა.** რამდენიმე ჩვენი კრეისერი და ნაღმოსანი კუნძულ გოტლანდსა და შვეციის ნაპირებს შუა მტრის საზღვაო ძალებს დაემბდა და არც ერთი დიდი სამხედრო გემი არ აღმოჩენილა. გათენებისას ჩვენ კრეისერებზე იერიში მიიტანეს მტრის ნაღმოსნებმა. იერიში ადვილად მოვიგერიეთ არტილერიის სროლით; მტერმა საგრძნობი ზარალი ნახა. ამგვარადვე უშედეგო გამოდგა მტრის წყაღვეშათა იერიში. ჩვენი საზღვაო რაზმი უფლებლად დაუბრუნდა თავის ბაზას. **შავი ზღვა.** 16 ივნისის განმავლობაში ანატოლიის ნაპირებთან ჩვენმა ნაღმოსნებმა 54 იალქნითა ხომალდი ჩააღებეს. **პარიზი.** 17 ივნისი. საღამოს ოფიცი ალური ცნობა. მდ. მასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა. კვლავ სწარმოებს 304 ის სიმაღლესთან. ქვეითა ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. მარჯვენა მხარეს ტომონთან მძაფრი ბრძოლები სწარმოებდა. ათ საათზე ფრანგებმა შესანიშნავი იერიშის წყალობით დაიპყრეს ტუომონის სიმაგრე, მიუხედავად გერმანელთა არტილერიის ძლიერი ცეცხლისა. დღისით გერმანელები ეკადნენ ჩიმაგრის დაბრუნებას, დიდათ დაზარალდნენ და 3 საათზე შესძლეს სიმაგრეში შეჭრა, მაგრამ ხუთის ნახევარზე ფრანგებმა დაიბრუნეს ტუომონი. მძაფრი საარტილერიო ბრძოლები იყო ფურენ-შენუას ტყეებში. **პარიზი.** 17 ივნისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. არმიის ბრძოლის პირზე საარტილერიო ბრძოლა გასვლელდა. ბელგიელთა არტილერია ნამეტანი მარჯვენა უშენდა დაქსიმულესთან გერმანელების თხრილებს. **რომი.** 18 ივნისი. ზელცეს მიდამოებში ჩვენ მტერს ვუტყვევით. საღამოთი მტერს 70 მალღობი წყარითვით. საღამოს ბრძოლის დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 10 ოფიცერი და 366 ჯარისკაცი. მტრის პაროლანებმა ვენეციას უშეპარები დაუშინეს. **პარიზი.** გერმანელებმა მასის ნაპირზე იერიშები განახლეს. ენოკურთან მოტანილი იერიშები ჩვენ მოვიგერიეთ. ფორტ ტომონი მტერმა ძალზე დააზიანა. დანარჩენ ადგილებში დიდი ცვლილება არ მომხდარა. ლოტარინგიაში მტრის იერიშები შევაჩერეთ. **პარიზი.** 18 ივნისი საღამოს ოფიციალური ცნობა. სომხის ჩრდილოეთით და სამხრეთით წინააღმდეგ დახვეწის და საარტილერიო მზადების შემდეგ 40 კილომეტრის სიგრძის ბრძოლის პირზე ფრანგებმა და ინგლისელებმა წინსვლა დაიწყეს; იერიში საღამომდის გარძელდა, და ბოლოს დაიპყრეს გერმანელთა მოწინავე პოზიციები. სომხის ჩრდილოეთით ფრანგები დამკვიდრდნენ სოფ. ხარდეკურის

მისავალში და სოფ. კოურლიუს განაპირებთ, სადაც ბრძოლა კვლავ სწარმოებს. სომხის სამხრეთით სოფლები დომპერი ბეკენკური და ბიუსოლი ფრანგებს დარჩათ. მარტო ფრანგებს დაუტყვევებიათ 3500 ჯანსალი კაცი. მასის მარცხენა ნაპირზე 304-ისა და მარტოპის მიდამოებში მედგარი საარტილერია ბრძოლა. მასის მარჯვენა ნაპირზე 10 საათზე ფრანგებმა ტომონის სიმაგრეები იერიშით აიღეს. 17 ივნისს ღამე ფრანგთა საპერო რაზმმა თრამეტი 120 მილიმეტრიანი ყუმბარა სადგურ ნელში ჩამოაყარა. ხოლო ექვსი ამისთანავე ყუმბარა რუაში ჩამოაგდო, აქ ცეცხლი გაჩენილა. 2 ყუმბარა ნელის ჩრდილო-აღმოსავლეთით მყოფ ავტომობილთა ტრანსპორტს, 60 ყუმბარა გერმანელთა ყუმბარების დაზიანებულ ქარხნებს ესროლა. ზოგ ყუმბარას მიზანი მიუღწევია. 28 ივნისს, ღამით, ფრანგთა შეიღმა პეროლანმა 13 ყუმბარა ჩამოაგდო ისევ ნელის სადგურში, 6 ყუმბარა—სამხედრო შენობაში, სადაც ცეცხლი გაჩნდა, სპავრო დახვეწის დროს ფრანგთა მფრინავი იერიში მიიტანა ფოკკერმა ტესტრა, მაგრამ მფრინავმა ფოკკერი მიანც ჩამოაგდო; როცა უკან ბრუნდებოდა მფრინავი, მასზე გერმანულმა ბოლანმა მიიტანა იერიში და მფრინავი დასკრა მფრინავი, მაგრამ მფრინავმა ბოლანიც ჩამოაგდო და ფრანგებთან დაეშვა. **ლონდონი.** 18 ივნისი. ბრიტანიის მთავარ ბინის ცნობა საფრანგეთიდან. დასავლეთით დღის 7 ნახევარ საათზე ინგლისელთა ჯარმა ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში შეტევა დაიწყო 20 მილის სიგანეზე. შეტევის წინ საათ ნახევრის განმავლობაში ინგლისელები მედგარად უშენდნენ გერმანელებს. რადგანაც ბრძოლა გრძელდება, წერილმანებზე მტრის შეტეობინება ნაადრევია. ინგლისელებმა დაიპყრეს გერმანელთა პოზიციები, ღრმად შეიჭრნენ და ორი ტაქტიკურად მნიშვნელოვანი პუნქტი დაიპყრეს გეიუტერის—მონტომონის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ბრძის ჩრდილო-აღმოსავლეთით ინგლისელები იბრძვიან სოფ. მაიეტსი და კონტალმენონში, რომელთა ნაწილი მათ ხელშია, ინგლისელებსავე უპყრიათ მიდამოები ფრიკურის ჩრდილოეთით, თვით სოფელი კი გერმანელების ხელშია. ინგლისელებმა იერიში მიიტანეს ბოლონტამელზე და აიღეს ლუშუაზეცი. ჯარი მამკურად იბრძვის.

ქურნალ-გაზეთებიდან. სტამბოლის მთავრობამ აჯანყებულ არაბთა წინააღმდეგ დიდძალი ჯარი და ზარბაზნები გაგზავნა. სტამბოლში მყოფი არაბთა ინტელიგენცია და სტუდენტობა აჯანყებას მიემხრო. ამ ეხმად მედინას მიდამოებში მთავრობის ჯარისა და არაბთა შორის დიდი შეტაკება ხდება. ბერლინში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ საბერძნეთთან საფოსტო ურთიერთობა შეწყვეტილია, ვინაიდან გერმანელთა კორესპონდენტების უმეტეს ნაწილს გზაზე იჭერენო. ინგლის-გერმანიის ასპარეზზე სამხედრო მოქმედება მეტად ვაფართოვდა. სამხედრო ავტორიტეტები ირწმუნებიათ, რომ ამ უმნიშვნელო ფრონტზე ამ მოკლე ხანში დიდ ამბებს უნდა მოველოდეთო. შეთანხმების სახელმწიფოებს გადაწყვეტილი აქვთ გერმანელებთან ამ ფრონტზე ძლიერი ბრძოლა გაჩაღონ და საშუალება არ მისცენ მათ (გერმანელებს) ამასპარეზიდან ჯარი სხვა ადგილას გადაიყვანონო.

გერმანიის მთავრობამ თანამდებობიდან გადააყენა ფელდმარშლები: ფლანკერ ბალტონი, ბემერმოლი და ლინცკეინი. მათი ადგილები დაიკირეს: მაკენზენმა, ბალტი

ალმოსავლეთის ასპარეზი დნესტრის სამხრეთით რუსები ავსტრიელებს უკან ახევენ. სოფ. ზატურცისთან ავსტრიელებს 9 დღის განმავლობაში გამუდმებული იერიში მოჰქონებდათ და გუშინ რუსებს მოუგვრებიათ. ზოგ ალაგში გერმანელების არტილერია მძლავრად მოქმედებს რუსების წინააღმდეგ.

ზღვაში. ბალტიის ზღვაზე გერმანელთა ნაღობსებისა და წყალქვეშების იერიში რუსის კრისტიანობის მიტანილი უშედეგო გამოდგა. შავსაღვანის რუსებმა დაიპყრეს 54 ოსმალთა იალქნაიანი გემი და რუსის წყალქვეშამ ერთი დიდი იალქნაიანი გემი ჩაღება ბოსფორთან.

კავკასიის ასპარეზი. პლატანის დასავლეთით რუსებმა გამაგრებული მთის ქედი დაიპყრეს, გიუმუშანის მიმართულ გზაზე ოსმალთა წინსვლა შეაჩერეს.

დასავლეთის ასპარეზი. ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში ინგლისელებმა და ფრანგებმა 40 კილომეტრის სიღრმის ხაზით შეუტრეს გერმანელებს, დაიპყრეს გერმანელთა მოწინავე პოზიციები და ტყვეთ წაიყვანეს 3500 კაცი.

იტალიის ასპარეზი. სხვა და სხვა ალაგს ცვალებადი შედეგის მქონე ბრძოლებია.

ჩემ და ბოროვეჩმა. მიზეზი გადაყენებისა მათი უნიკობაა.

„რუსკ სლოვო“ სატყობინებენ: მტრის ჰაერობლანები ყოველდღე კრემლის, როგონსა და ლუცკის თავზე დაფრინავენ. ჰაერობლანები ურცხვად ყუმბარას ყრიან. რკინის გზის რაიონში ყუმბარებმა იმსხვერპლა ორი მცხოვრები და რამდენიმე სახლი დაზიანა.

ვილჰელმის მოთხოვნით, ჰერც-ჰერცოგ იოსებ ფერდინანდს ავსტრიის ჯარის მთავარსარდლობა ჩამოერთვა და ფელდ-მარშალ ლინცინგენს მიენდო.

რუსული გაზეთები იუწყებიან: ერთი თვის განმავლობაში გალიციის ასპარეზზე ავსტრიელების დანაკლისი 200,000 კაცს აღემატება.

„რუსკ. ინვალიდი“ სწერს: ჩვენმა ჯარმა უკვე სავსებით დაიპყრა ბუკოვინა და ახლა კარპატის მთებს უახლოვდება.

„რეჩი“ სწერს: აღმოსავლეთის ასპარეზზე ბრძოლის ინტენსივობა კვლავ ჩვენს ხელში არის.

გერმანის გარშემო სიწყინარე ჩამოვარდა. წერილობითი ბრძოლები მხოლოდ „314“ კალთებში ხდება.

„რუსკ. ვედ.“ ცნობით, გერმანიის სახმელრო მთავრობას პოპულარული გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ შეუჩერებია.

რუმინიაში ჯარის ერთი ნაწილის მობილიზაცია გამოუცხადებიათ.

რადგანაც დასავლეთის ასპარეზზე ინგლისელებმა შეტევა გააძლიერეს, ამიტომ კაიზერის ბრძანებით, ინგლისელებს წინააღმდეგ ახალი ჯარები გაუგზავნათ.

აჯანყებულ არაბებს საქირი იარაღი ინგლისის მთავრობისგან მიუღიათ.

ჭარფუტის ამერიკელმა კონსულმა ამოხოცვის შესახებ თავის მთავრობას ვერცელი მოხსენება წარუდგინა.

ენვერ ფაშა არაბებთან დიპლომატიურ მოლაპარაკებას მოითხოვს. ნაცვლად სამხედრო მოქმედებისა.

სტამბოლის სამხედრო სასამართლომ საზღვარგარეთ მყოფ იზეთ-ფაშას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა იზეთის ბრალდება სახელმწიფოებრივი დელატი.

ვერდენის ასპარეზზე გერმანელებმა ფორტს ფრისკენ მომავალი გზა სრულიად გაანთავისუფლეს.

სალონიკის კომენდანტმა ლენერალმა ნეგროპონტისმა ბრძანება გასცა, რომლის ძალითაც უცხოელებს 8 საათის შემდეგ ქუჩაში სიარული ეკრძალებათ.

სერბიაში ქრონიკული სიმწილობა გრძელდება წელს ყანების უმეტესი ნაწილი დაუთესავი დარჩენილი.

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ამინდები კარგი ყოფილა. ალაგ ალაგ კიდეც ჩამოცხა.

„რუსკ. ინვალიდი“-ს ცნობით, ბერლინის ზოგიერთი სამხედრო ავტორიტეტი მოითხოვს ვერდენის ოპერაციის ლიკვიდაციას, რომ ამით შეძლება მიეცეს ფელდმარშალ პინდენბურგს სამხრეთის ფრონტზე ძლიერი შეტევები დაიწყოს.

გერმანული გაზეთები სწერენ: რუსეთმა არტილერია შესაძენვეთ გააუმჯობესა.

რუსეთის ასპარეზზე გერმანელები მდინარე პრიპიატის მარცხენა ნაპირზე მებრძობენ.

„ჟურნალ დე ბალკანე“ იტყობინება: ვენის მთავრობამ კიდევ მისცა სამხედრო სავსე სასამართლოში ჯარის უფროსი გენერლები, რომელთაც თავისი ნებით სადარჯოები დასტოვეს და უკან დაიხიეს.

გერმანელთა ჯარის მთავარსარდალი ბელგიაში ფონ ბიულოვი სამსახურიდან გადადგა.

ლუბნოს მართველობა რუსების ხელში გადავიდა.

„ტაიში“ სწერს: გალიციის ასპარეზზე ბრძოლის განვითარება და გაძლიერება დიდ განსაცდელში ადგებს ავსტრო-გერმანიის გეგმას. ისინი იძულებული იქნებიან სხვა ასპარეზებიდან მთავარი ძალები სულ აქეთ გადმოიყვანონ.

სალონიკის ფრონტზე 11 ივნისს ძლიერი შეტევა მომხდარა.

ჩრდილოეთის ზღვაში დიღუბა ინგლისის გემი „კოლონი“.

„ურანკ. ცაიტუნგი“ ს ცნობით, გერმანელები რუსეთის ასპარეზზე ამ ახლო ხანში საერთო შემოტევას დაიწყებენ. ეს უკვე აცნობეს მთავარ ხელმძღვანელს ფელდმარშალ პინდენბურგს.

მინსკთან მხვერვათა რაზმის მოქმედება ფართოვდება, საარტილერიო ბრძოლა დრო გამოშვებით სწარმოვებს.

სადგურ ლუნცინცენთან რუსებმა გერმანელების ჰაერობლანი ჩამოადგეს.

სტოკჰოლმში გაზეთები იუწყებიან: პინდენბურგმა აღმოსავლეთის ასპარეზისთვის ახალი გეგმა შეადგინა, რომელმაც უკვე სათანადო ნაყოფი გამოიღო.

სტოხოლმთან კვლავ ძლიერი შეტევები მიწოდებულა. ქალაქის წინა ადგილები მთლად გადაბუფულია.

ზაინსის კაბინეტმა მოქმედება უკვე დაიწყო. ცენტრალ იმპერიებმა ათინიდან თავისი დესპანები გაიწვიეს და მათ ალაგას რუსუნებულეები გამოგზავნეს.

იმპერატორი ვილჰელმი ლიეჟში წასულა, ქალაქის დასათვალისწინებლად და მცხოვრებთა სულიერ განწყობილების გასაცნობად.

სტამბოლში შეიპყრეს და ახმელის მოედანზე სიკვდილით დასაჯეს მრავალი სომეხი და ბერძენი. მათ ბრალდება სახელმწიფოებრივი ჯაშუშობა.

გეგმა საერთო შეტევისა, რომელიც მოკავშირეებმა ზამთარში შეიმუშავეს, და გაზაფხულზე უნდა შესრულებულიყო. ვერ გამოდგა ნაყოფიერი და ჩამოშალა სხვადასხვა პირობების გამო. ეს ვარაუდებია კი საბიფათო შეიქნა მოკავშირეთათვის, ვინაიდან გერმანეთს შეეძლო რომელიმე მხარისათვის შეეტია ისე და ამასობაში ზაფხულიც გავიდა, მოკავშირეთა შეტევა საგაიოდ უნდა გადადებულიყო. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად იმ დროს, როდესაც გერმანეთი ვართული იყო დასავლეთის ასპარეზზე და მეთოლიურად აქტივობის უნარი ართმევდა, ფრანგებს ვერდენთან, რუსებმა მძლავრად შეუტრეს გალიციის ასპარეზით.

ამით რუსებს სურდათ, როგორც ეხლა ირკვევა ეს, გერმანელების მთავარი უპრადლება აღმოსავლეთის ასპარეზისათვის მიექცათ.

რამდენად შესძლეს ეს, ჩვენ ჯერ არ ვიცით. მხოლოდ ერთი კი ცხადია: მოკავშირეებს უცნობია ეს შესრულებულია. მათისაზრით გერმანული-ავსტრიული დღეს ისე არიან გაართულნი გალიციის ბრძოლის ლიკვიდაციით, რომ იტალიის ასპარეზზე და ვერდენთან აქტივობა კი არა, გამაგრებაც კი ვერ ძალუძთ.

ეს აზრი ჰქონდათ. ალბათ როდესაც გადაუწყვეტით დასავლეთის ასპარეზით შეტევა, რასაც ინგლისისა და საფრანგეთის ღვეანდელი ცნობანი გვატყობინებენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, არც ისე დასუსტებული გამოდგარა დასავლეთის ასპარეზი, როგორც ამას გვაუწყებდა მოკავშირე სახელმწიფოთა პრესა. თუ ეხლანდელ შეტევას მოკავშირეებისას შარშანდელ მათ შეტევას, შევადარებთ ჩვენ დაინახავთ რომ ამ შეტევას იმის მებუფედიც არ გაუკეთებია.

თუ დასაწყისი ისეთია, რომ მხოლოდ მოწინავე პოზიციები დაიპყრეს და 3500 ტყვე ჩაიგდეს ხელში, არა გვეგონია, დიდი ხნით გაგრძელდეს შეტევა და ფართო ბრძოლის ხასიათი მიიღოს მან.

შეგრეაო.

† ალექსანდრე ყიფშიძე.

1890 წელს ვაზ. „ივერიაში“ ილია ქაჭავაძესთან შინაურ თანამშრომლად ვიყავი. ალექსანდრე ყიფშიძე მაშინ სახელმწიფო სამსახურში იყო. როგორც რუსული ნიპოლიშითი გამსჭვალული, უნდა თვალთ ვუყურებდი მას და მეგონა, ესეც ერთი ბევრთაგანია, რომელსაც ბაჟრო კრატული სისტემა შთანთქმისქო.

შეცდი: თურმე მდგომარეობა კი არა შობს კაცს; არამედ, პირიქით, კაცი ქმნის ნდგომარეობას, როგორც ამას ალ. ყიფშიძის ცხოვრება ცხადად ამტკიცებს.

მან კეთილად მოიხმარა ის საკაცულარობა სიძველენი, რომელთაც ომი სქამს და რომელნიც ჩვეულებრივ დახმსებულნი, დრომოქმული სისტემის სიმბოლოს წარმოადგენენ.

ჯერ კიდევ 1890 წელს მაკვირვებდა მისი შეგნების, სუბუქის, კეკლუცი ერთი დაწერილი და მდიდარი ფაქტური მასალით დასაბუთებული მეთაური წერილები, რომელნიც სხვათა შორის ილია ქაჭავაძესაც ძლიერ მოსწონდა.

მაგრამ ალექსანდრე თანდათან გაიტაცა ჩვენი მახლობელი წარსულის ამბების შესწავლამ და, შეიძლება ითქვას, სიძველეებში, არქივების ქაღალდებში, შთაინთქა.

ვის არ უნახავს ის აუარებელი ძველი ქაღალდის ტერითი ხელში? და მისმა კეთილსინდისიერმა მეცნიერულმა შრომამ ორი ისეთი ისტორიული მონოგრაფია შეგვიჩინა, რომელნიც მაგალიტებად, შედეგებად, ჩათვლებიან ახალი ისტორიის ლიტერატურაში, — „მოთულები 1804 წელს“ და „კახეთის ამბობება“.

ეს ორი მონოგრაფია — ალექსანდრეს მახვილი გონების, მკვირცხლი ხასიათის, კეთილშობილი გულისა და ღრმა მამულიწილიანობის განსახიერებასა და ერთობადაიბევე დროს მეცნიერულ ნაშრომსა და ხელოვნურ შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ ის კრიტიკული საბედისწერო დრო, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ახალ პირობებს ჯერ ვერ შეირგებოდა, სწენებულ მონოგრაფიებში საესებით დასურა-

თებული და მკვდრებით აღდგენილია.

რა სასიამოვნო საკითხავია! ფროთოსანი, სუბუქი, მარტივი და თან ცოცხალი, ცეცხლის აღმგზნები, მკვირცხლი და მხატვრული ენა ახალისებს, ხიბლავს და ატყვევებს მკითხველის ცნობის მოყვარებასა და გულის მომკვლელი, და სულის შემადარწუნებელი ამბები, რომელნიც ერთსადაიმავე დროს ჩვენი პოლიტიკური შეგნების დაცემასა და კეთილშობილ რაინდობას მოწოდებენ და ჩვენი ეროვნული ისტორიის უსაშინლეს დრამას მოგვავიწყებენ, აკეთილშობილებენ ჩვენს გოლსა და ზრდიან, სწორედინან ჩვენს პოლიტიკურ შეგნებას. იმავე დროს ალექსანდრეს ცოცხალი ტემპერამენტი მარტო სიძველეთა შესწავლის ფარგლით ვერ გარეშე-მოაწერებოდა და მოძრაობის ლიკვიდაციის დროს ის უზენისოდ და უმუნდროდ იქნა სამსახურიდან დათხოვნილი, შემდეგ კი მან მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და ენერჯია ქართულ საზოგადო საქმიანობას შესწირა სხვერპლად და, როგორც მეომარმა ბრძოლის ველზე, თავისი პირდაპირი მოვალეობის ასრულების დროს განუტევა სული.

საზოგადოდ ალექსანდრეს ერთობ ცოცხალი და თან ტკბილი, შემთვისებელი ხასიათი ჰქონდა და, სადაც კი დაესწრებოდა, სიცოცხლე შეჰქონდა. ყველას უყვარდა და ყველა უყვარდა. მისკებური კაცები ბედნიერები არიან.

ეს! უსამართლო წუთისოფელი, რომ ჯერ კიდევ დონითა და ენერჯით საცენიკიერ მოღვაწეს მისი შემოქმედებით მუშაობის დასრულება არ დააცალა და უდროოდ ხელიდან გამოგვტაცა სამუშეო რა აგრეთვე, რომ სიცოცხლეში ღვაწლი ვერ დაუფასეთ და პატივისცემის ნიშნად გულში ვერ ვეცით, ვერ მოვეფერეთ, მადლობა ვერ ვუთხარით.

მაგრამ ნუგეზად ის დაგვიჩენია, რომ საქმენი მისნი უკვდავ არიან და, ვიდრე ქართველი ერი იცოცხლებს, საუკუნო იქნება სხენება მისი.

ვახიფ წერეთელი.

ჭიათურის საქმე.

უცხოთა მფლობელობის სალიკვიდაციო საკითხმა ჭიათურაში დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია ჩვენს პრესაში.

ეს საკითხი სრულიად საპართლიანად გადაიქცა ჩვენი ეროვნული ეკონომიკისა და ერის თავმოყვარეობის ძირითად საკითხად. ამისთვის, მეც, როგორც ამ საქმესთან უფრო ახლოს მდგომს მსურს მკითხველებს ვაუწყო შემდეგი ჩემი აზრი.

როგორც მოგვხსენებთ, ომის დაწყებდან დაარსდა სალიკვიდაციო მართველობა (ликвидационное управление), რომელმაც შეადგინა გელზენ-კირხენრის და კევასისის სამთა-მადრო საზოგადოების კუთვნილების სია და დაიწყო ზრუნვა სხენებული კუთვნილების დაცვა მოვლისათვის.

როდესაც, ამ უკანასკნელ ხანებში, საბოლოოდ გამოირკვა, რომ სხენებული მამულებისა და საწარმოო სამკაულის ლიკვიდაცია თვით მთავრობას — ხაზინას უნდა ეკისრნა და არა პირვანდელ ლიკვიდატორებს, დაარსეს განსაკუთრებული სალიკვიდაციო მართველობა, რომელიც იყენენ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები: მაგ. ხაზინისა, ფინანსთა სამინისტროსი, სამიწად-მოქმელო და სახელმწიფო მამულების სამართველობისა და იუსტიციის სამინისტროსი. სხდომები იმართება ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ბან პრატასიევის თავმჯდომარეობით. პირველი სხდომა ჰქონდა მართველობას ივნისის პირველ რიცხვში, მეორე — სხდომა ექვნება დღეს, სამშაბათს, 21 ივნისს.

უპირველესი მიზანი სხდომების არის პეტროგრადიდან მიღებულ მოწერილობათა განხილვა და მათი აღდგობრივ პირობათა მიხედვით შესწორება შეგება, რომელიც მოწერილობებიც მართველობის მიერ გამოტანილი აზრითა და მოტივებით უკანვე გაგზავნება პეტროგრადად სამინისტროებში განსახილველად, და შემდეგ გამოგზავნენ თფილისში მეფის ნაცვალს ნაყოფაზ ნაყოფაზის ძეს სახაფაფ დასამტკიცებლად. ეს კორკულიარები ეხება მამულების ლიკვიდაციის წესსა და რიგს.

მთავარი და შეუცვლელი პირობები ანუ დებულებანი ამ სალიკვიდაციო მართველობისა იმაში გამოიხატება, რომ განსაკუთრებული სალიკვიდაციო მართველობა

ვალდებულია საჯაროთა გააცხადოს ვაჭრობის პირობები მამულების შეტრის მსურველთა სასურველდებოთ. მამულები გაიყვანება ამ ფასებში, რა თქვენიც უნდა იყოს უცხო ფარმებს რამდენიმე წლის წინად ამას გარდა სხენებული სასურველი მამულებისას სრული უფლება ჰქვს აწიყვანი მოახდინოს მამულები; ე. ი. შეტრავება შორის.

როდის დაინიშნება დაახლოვებით საჯარო ვაჭრობა? ამ კვირის განმავლობაში ახალი სალიკვიდაციო მართველობა და ძველი ლიკვიდატორები უნდა შეიკრიბნენ თვით ქიათურაში აღდგობრივ ინვენტარის ჩასაბარებლად და მამულების დასათვლიერებლად. (ქიათურაში ზედამხედველად არის ინჟინერი ანდრეევი.) ასე რომ, ამ თვის ბოლოდან ივლისის შუა რიცხვებამდე მაინც წინასწარი სამუშაო საქმე შესრულებული იქნება და საჯარო ვაჭრობაც სწამ კვირის ვადაში კიდევ დაიანშნება.

ასეთია დაახლოვებით საქმის მდგომარეობა ამ ქმათ, დაუფიქრებ, რომ ვაჭრობაში მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ჯერჯერობით გამოირკვა, შუადა სომხური ფირმა და ერთი რუსული.

მიუხედავად ამისა, ჩემის ღრმა რწმენით, თუ სიმტიკიცეს, ენერჯიასა და მასთან გამკრიბობას გამოვიჩინეთ, სწამე შეგნება სასურველად დაგვირგვინდება. ხაზინასა და მთავრობის სხვა უწყებებსაც არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ იმ ნათელ აზრს, რომ ქიათურა მაცხოვრებელი წერეთი მთელი დასავლეთ საქართველოსათვის და ერთად ერთი ბეჯითი დღეა ბოძია ქუთაისის გუბერნიისა და შორაპნის მაზრის ეკონომიკური ცხოვრებისათვის და გადასახდის გამღებ მკვიდრ მცხოვრებთა კეთილდღეობისათვის; რომ მთელი გუბერნიის ინტერესი მოითხოვს ქიათურის მამულების ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში გადასვლას.

რა ხარჯებს მოითხოვს ეს დასაკუთრება? რადგან მამულები პირვანდელ ღირებულობით გაიყიდება, რადგან ხაზინა არ ანგარიშობს წლების განმავლობაში ღირებულობის აწეულ რაოდენობას, მიეღობ მამულები ელირება, ემის ფიქრით, 3/2 მილიონ მანათლ. ვინგარიშობთ, თუ გნებავთ, ხუთი მილიონი. ცხადია, ამდენი თანხის ერთბაშით შეძლევა ჩვენ არ ძალგვძის, მაგრამ ამის ძადა არც სხეებს შესწევთ, ამის შესახებ ჩვენ თავს ნურვის მოგატყულებინებთ! შეიძლება სხვანი ბევრათ ჩვენზე ძლიერი გამოდგენ, გეთანხმებოდ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ისინი დავამარცხოთ და აი რით:

როდესაც მამულები იჯარით გაიყიდება, ხაზინას სჭირდება ბეჯითი გარანტია დარჩენილ თანხის სრულიად განაღდებისათვის. ამ გარანტიას ვერც ერთი კერძო ფირმა მთავრობას ვერ მისცემს ჩვენზე უკეთ: ქიათურის მრეწველთა საბჭოს საკმარისი ქონება აქვს ქიათურაში, რომლის საწინდრობას ფასი არასდროს არ შეედრება კერძო ფირმის საწინდრისას. ამ შხრივ, საჭიროებისამებრ, შეიძლება კიდევ საბჭოს დამხმარეთ გვერდში ახოუდგეს სხვა დაწესებულებებიც. ასე რომ, ამ შხრივ ჩვენ კონკურენტებს უსათუოთ დავამარცხებთ! მაგრამ სიღინ ვიშოვოთ ერთი წილი თანხისა, რომ მამულების დარჩენისას შეეიტანოთ ხაზინაში? ეს წინასწარი თანხა ისეთი მკიერ შეიძლება იყოს, რომ მისი შოვნა ჩვენ არ გავვიწყნებდებამ, მით უმეტეს, ახალი ბანკის ამუშავების შემდეგ, რჩება საკითხი, თუ საიდან შევსძლებთ, და შევსძლებთ კი, ვალის გასტურებას? ამის შესახებ ვიტყვი, რომ სხენებული გერმანული ფირმები თავის ადგილების დამუშავებას არ ეტანებოდენ; უფრო მეტ ქვას ყიდულობდენ წველლ მწარმოებლებიდან, ასე რომ, მამულები თითქმის დაუმუშავებელი და შენახულია. იმ ცნობით, რომელიც ჩემს ხელთაა, ორი გერმანული ფირმის კუთვნილ წარმოებას შეუძლია ამაჰად დაამუშაოს წლიურათ ოცი მილიონი ფუთი შავი ქვა თუ გნებავთ, ვიანგარიშობთ ათი მილიონი, შავი ქვის მომავალი სულ მაჰანდა უმცირესი ფუთი აბაზად, რომ ვიანგარიშობთ, წლიურათ ორი მილიონი მანათლის წარმოება. იქნება, აქედან საწარმოებლად გადავსდეთ ერთი მილიონი. მაინც რჩება თავისუფალი ერთი მილიონი, როგორც მოგების უმცირესი მინიმუმი.

რამდენი დაგვირგებდა ვალის პროცენტების დასაფარავათ? იმ შეუძლებელ შემთხვევაშიაც კი, თუ ხაზინამ 10% მოგვითხოვა, ასეთ შემთხვევაშიაც წლიურათ ვალს პროცენტების დასაფარავათ ნახევარ

მიღიანზე მეტი არას დროს არ დაიხარება. მაშასადამე, წლიურ მოგებიდან კიდევ რჩება მთელი ნახევარი მილიონი ვალის ძირითადი თანხის წლიურად ნაწილი-ნაწილ გასასტუმრებლად. მაშასადამე, ცხადზე უცხადესია, რომ უუდიდესი ვალიც რომ ავიღოთ ხაზინიდან, ხუთი მილიონი მანათი, მისი გასტუმრება პროცენტებიანათ ძალიან ადვილათ და შეუძნეველათ შეუძლია წარმოებას ათი წლის განმავლობაში.

ესა მივიღოთ მხედველობაში, რომ საქონელი აბაზად კი არა ათ შუარადაც გაიყიდება, რასაკვირველია, თვით ქიათურაში კი არა, არამედ მსოფლიო ბაზარზე, მაშინ მოგებაც თითქმის სამჯერ მეტი იქნება და ამ მხრივ ხაზინა არავითარ რისკს არ ეწევა.

ქიათურის სეგმენტთან უახლოესათ დაკავშირებულია, რასაკვირველია, ქიათურის საბჭო, ამ უკანასკნელმა ყოველგვარი ზომა უნდა იხმაროს, რომ ეს საშვილი-შვილი ითვალისწინოს ქართული ერის ხელიდან არ წაუვიდეს. ერთ-ერთ თვით გაზომვულ, შეუპოვარ „მეტორგეთ“ თვით საბჭოც უნდა გამოვიდეს და საქმე უნდა გააკეთოს: თუ სხვები დავატარებენ ქიათურას, ეს იქნება საშინელი შეურაცხყოფა როგორც თვით საბჭოსი, ისე მთელი ქართველობისა, საქმე ახლა ინიციატივებზე, მოხერხებებზე, გამბედაობაზე, შეუპოვობაზე მეტი. მთელი ამერიკელები ფეხზე უნდა დადგეს და ვისთანაც ჯერ არს მიუჩნებულნი, თავგამოდებული მუშაობით იზუამდგომლოს და საბოლოოდ ლელო გაიტანოს ახლავ დავტრიალდეთ! გარა, რომ სვიატაპოლკ მირსკის მამული სომეხს ჩაუვადებთ ხელში, ახლა მთელი იერეთის სასიცოცხლო ნერვი ქრება.

თუ საქორა, საბჭომ მრეწველთა არა ჩვეულებრივი, საჩქარო სავროთა კრება უნდა მოიწვიოს და კოლექტიური მუშაობა გააჩალოს დიდი საქმის გასაკეთებლათ.

ტატე მარგველაშვილი.

ახალი ამბავი.

მ შ თ ა მ ს ი.

პ. დ. ს. სახელმწიფო სათათბირომ მიიღო თბილისის პოლიტექნიკუმის აშენების პროექტი. სათათბირომ მიიღო აგრეთვე საშუალო სასწავლებლების რეფორმაციის პროექტი, რომელიც ამ მოკლე ხანში საბჭოს წარედგინება განსახილველად. განზრახულია აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების (უნივერსიტეტების) რეფორმის პროექტის მიღება.

19 ივნისს ღამის მატარებელი ქ. თბილისს გაემგზავრა დ. ი. სოსნოვსკი, რომელიც სამკურნალო მცენარეულობის მოგროვებისათვის იყო ჩამოსული.

სპარსეთის ასპარეზზე ბრძოლის დროს მოკლეს მ. დაღვიძი.

ხმა დადის, რომ კავკასიის მეფის ნაცვლის წარმომადგენელი პეტროგრადაში მილიტარული სამსახურს თავს ანებებს.

კვირას, 19 ივნისს, ს. გვიშტიბში აღვლობრივ ეკლესიაში მღვდელმა ჩიქვინიძემ პანაშვიდი გადაიხადა ახლად გარდაცვლილ საზოგადო მოღვაწის და მწერლის ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელოს) სულის მოსახსენებლად. პანაშვილის შემდეგ მღვდელმა ჩიქვინიძემ ხალხს მოკლედ გააცნო ალექსანდრე ყიფშიძე და მისი მოღვაწეობა.

10 ივნისს ტყიბულის ქვანახშირის მალარობიდან გაპარული 6 ტყვე ოსმალო 14 ივნისს ქიათურის მახლობლად ტყეში შეიპყრეს.

რედაქციამ მიიღო მე-10 ნომერი ჟურნალ „ცხოვრებისა“. ჟურნალი შინაარსიანათ არის შედგენილი.

აგრეთვე რედაქციამ მიიღო ჟურნალები „განათლება“ და „თეატრი და ცხოვრება“.

19 ივნისს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ღარბაში მოხდა ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივების თათბირი. ამავე თათბირზე განხილულ იქნა სამკურნალო მცენარეულობის საკითხი. თათბირს სხვა თაშორის დაესწრნენ დ. ი. სოსნოვსკი გინდლი და გ. ქუთათელაძე, თათბირის დაწესებით ანგარიში ხვალინდელ ნუშერში დაგეგმვათ.

ამ წამათ ქუთაისში ფუთი სიმონი 2 მან. და სამ აბაზად ფასობს, სიმინდის ფეკელი კი 3 მან. და 1 აბაზად, კართო

ბილი 2 მან. და 2 აბაზ.

რაქიდან გვატყობინებენ, პურის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

რაქის ზოგიერთ სოფელში ყელქიბრეება და ყვაველი მძინევიარობს.

ქ.ბ. ყაუხჩიშვილი კერძო ქალთა გიმნაზიაში გასათავებელი კურსის გამოცდები ოქტის დეპუტატის პ. სოსოვეის თანდასწრებით დასრულდა 19 ივნისს. გიმნაზიის კურსი დაასრულეს და მოწმობა მიიღეს ოცდაათმა მოწაფემ: ნადეჟდა აბდუშელიშვილი, ოლეა აბესაძე, ანა ავალიანი, მარია ასლანიშვილი, ვერა ბერეჟიანი, ოლეა გოცირიძე, ალექსანდრა ჯანელიძე, ლილია დოლიძე, ევგენია ერიკოვა, ნინო ესებუაძე, თამარ იოსელიანი, ანესა ყაუხჩიშვილი, ვერა კიკვაძე, ბარბაღე კიკვაძე, დარია კინწურიშვილი, ვერა ქორდავაძე, მარია ლაბაძე, ნინო ლალიაშვილი, ტერეზია მაჭავარიანი, ქეთევან მდივანი, მარია მესარკოვა, ბარბარე პაპიკოვა, ოლეა რუსაძე, ოლეა სემიონოვა, მარია მოსევილი, ტერეზია ქანტუიანი, მარია ჩხილაძე, ევგენია ჩხაიძე, შუშანიკა ჩხაიძე და ფეროსინე შერსტიუკოვა

ამათ შორის ოქროს მედალი მიიღო ევგენია ჩხაიძე, ხოლო ვერცხლის მედალი: ოლეა გოცირიძე, ნინო ესებუაძე, ვერა ქორდავაძე და მარია მესარკოვა.

18 ივნისს სტუდ. თოფურიძის უფროდ გაგარდნა რევოლუციური ბრუნვისის სიტუებისა და თავში დაუჭრია სტ. ხუნდაძე. ექიმების შემოწმებით ქირლობა მსუბუქია.

18 ივნისს, ღამით, ბალახეანის ქუჩაზე პროკოფი მესხის სახლში შესულა ქურდი და მოუპარავს ორი წყვილი ფეხსაცმელი, ვერცხლის სათუთუნე პორტმონე, რომელიც 50 მანათი ყოფილა, რევოლველი და ოქროს საათი.

ჟურნალ ვაზეთების კანტორა „ამერგეთი“ ს. გამგე ვაზეთის გამოცემაში, რომ მან მიიღო ვაზეთ „საქართველო“ ს. პირველი პრემია, „მურანი“ წლიურ ხელის მომწერლებისათვის დასარავებლათ. ამათ შეუძლიათ მიიღონ იგი კანტორაში, სადაც ხელს მოაწერენ დავთარში. კანტორას ეს წიგნი გასაყიდათაც აქვს და ღირს ორი მან.

კანტორამ მიიღო ახალი გამოცემა გ. ვეშაბელისა — „სამაშვილიანო საქართველო“ (ლაზისტანი, ტრანპირნი, და კორონის მხარე). გამოცემა რუსულ ენაზეა მოსკოვის ქართულ სამეცნიერო ხელოვნების და სალიტერატურო საზოგადოებისა. დასურათებულია და ღირს სამ აბაზად.

კანტორამ მიიღო აგრეთვე ჟურნალი „განათლება“ მისისა და ივნისის ხელის მომწერთათვის და გასაყიდათ.

გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა კოოპერატივის ფურნის წვერი ბ.ნი პლატონ. თალაკვაძე და განაცხადა: ქალაქის გამგეობის წევრმა არღიშვილმა კოოპერატივის ფურნის შეატყობინა, რომ მას შეეძლო რამდენიმე ტომარა ფეკელი ეყდა ქალაქის ფეკელის საწყობიდან და ამის შესახებ შესაფერი ბარათიც მისცა. მიუხედავად ამისა, როდესაც კოოპერატივის ფურნის რწმუნებულნი ქალაქის გამგეობის აგენტთან ბ.ნ გელოვანთან მივიდნენ ფეკელის მისაღებად ეს უკანასკნელი მეტად უკადრისად მოექცა მათ და ფეკელის მიცემაზე უარი განაცხადა. საყურადღებოა-რა უფლება აქვს ბ.ნ გელოვანს კოოპერატივის წევრებს ფეკელის მიცემაზე უარი უთხრას, როდესაც ამის ნებართვა მათ აღებული აქვთ ქალაქის გამგეობის წევრისგან.

19 ივნისს ქუთაისის მაზრიდან დაბრუნდნენ ი. მ. ქუთათელაძე, დ. ი. სოსნოვსკი და გონდო.

ბაზრის ზედამხედველი ი. გელოვანმა პურის მეტ ფასში გაყიდვისთვის ოქმი შეუდგინა შემდეგ შეფურნეებს: ისაკ ტოპოლოვის ფერმის ქუჩაზე; ალექსი ვაჩაძის მეთევზეების ქუჩაზე და ისაკ კამარიანის ორპირის ქუჩაზე.

თ ბ ი ლ ი ს ი.

ქალაქში წყალი კვლავ არ იშოვება. დღეს საღამოთი დანიშნულია ამ საკითხის გამო საგანგებო თათბირი.

როგორც „ზაკ. რეგ.“ საკუთარი კორესპონდენტი აცნობებს, განათლების მინისტრი გრაფი იგნატიევი გადაყენებულ იქნება და მის ადგილს დაინიშნება საბლერი ან თი გოლიცინო.

უახრობა, თუ თავის მარტო-ლევა?

„კავ. სლოვო“-მ და თბილისელმა სომხურმა გაზეთებმა „ზაკ. რეგ.“ „პეტრ. ვედ.“ „გოლოს კავკაზი“ და „სამშობლო“ შოვინისტურ რეაქციონურ ორგანიზაციებს მონათლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციებმა მღვდელთაგონის მესრობის შეიარაღებას ხელი არ დაუფარეს და იგი გაბედულად ამხილეს.

აი, როგორ გვიხსნის „კავ. სლოვო“ მესრობის მიერ თბილისში იარაღის მიღებას:

„ამერიკის სომხობამ კავკასიის ასპარეზზე სამოქმედო შეადგინეს მოხალისეთა რაზმები, იყიდეს საჭირო იარაღი და ვაშინგტონელ რუსეთის ელჩის და გარეშე საქმეთა მინისტრის საზონოვის ნებართვით ეს მოხალისეთა რაზმი და იარაღი თბილისში უნდა გამოეგზავნათ. რადგან ამერიკელ სომხებს თბილისში მესრობის და „შაკი“-ს რედაქტორის გარდა ნაცნობი არაფერა ჰყავდათ, ამიტომ იარაღები ამათ სახელზე გამოგზავნეს. როდესაც იარაღი თბილისის საღვურზე მოვიდა, ყუთები საბაჟო სამმართველომ დააკავა არსებული გადასახადისთვის, რაც შემდეგ გრავ ვორონკოვის ბრძანებით განთავისუფლებულ იქნა“.

ჩვენთვის მეტად საკვირველია ასეთი პასუხი „კავ. სლოვო“ მოგვითხრობს ვორონკოვის დროის შესახებ, როდესაც სომხები თავისუფლად იღებდნენ იარაღს და სოლოლაკში შტაბს ადგენდნენ, რაც ჩვენ აღუწიშველიად გვარჩებოდა.

მხოლოდ ამ ერთი თვის წინად, რომ თბილისში მესრობა კიდევ მიიღო იარაღი, რომელიც მთავრობამ დააკავა, ამაზე ვაზეთი არავითარ პასუხს არსებობდა არ იძლევა, სხანს, აქ საქმე სულ სხვა გვარად არის და ვორონკოვის მთავრობა სომხებს აღარ სწყალობს. ამის შემდეგ ჩვენ ვინდა ვიკითხოთ: თუ რათ იღებდნენ სომხები თბილისში ამერიკიდან იარაღს და არა სხვა ადგილას, რომელიც უფრო უმჯობესია კავკასიის ასპარეზისთვის?

ან კიდევ, თუ ამერიკელ სომხებს თბილისში მღვდელთაგონ მესრობის და „შაკი“-ს რედაქტორის მეტი ნაცნობი არა ჰყავდათ, მაშინ რატომ პირდაპირ რუსის მთავრობის სახელზე არ ჰგზავნიდნენ იარაღს. კავკასიის ასპარეზზე ხომ რუსის მთავრობის გვერდში უნდა ებრძოლათ?

აი, სწორედ აქ არის ის ფონი, რომელიც სომხებს, ცოტა არ იყოს, არჩობს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ „კავ. სლოვო“-ს დაუსაბუთებელ პასუხს ერთგვარი უახრობა თავის მართლებამ ვუწოდოთ.

საქართველო კვლავ სსირის...

ტანჯული სული ქართველთა კვლავ კოცონზე აიგავნა...

ერს ჩემსას ბედი არ სწყალობს; ქეშმარიტად იგი უბედურია, ვინაიდან სწორეთ დღეს, იმ შებენელ დღეს, როდესაც ტანჯული ჩვენი ქვეყანა ძაბით შემოსილა, როდესაც მთელი ლეგიონები ქართველ ვაჟაკებისა თვის უმანკოსისხლსა

აი, ამ დღეს უწყალო ბედმა არ იკმარა ესოდენი მსხვერპლი, თვისი მრისხანება კვლავ გაღმონათბია და ხელიდან გამოგვტაცა ჯერ კიდევ ჩვენთვის გამოუცნობი სტინკი, მთის არწივი ვაჟა. ის ვაჟა, რომელიც თავის წამებულ საქართველოს წამდაუწუმ ამხნევებდა და ილინებდა:

„შენი ვარ შენთვის მოვკვდები, შენს ბედზე დაკრებულ სულიც შენია, ლევიცა, ულვაშიც შედგებულა“.

გასწყდა სიმი... და მწუხრის ღიმი დაცხვინა იროდიონ ვედოშვილის ლეოთურ სახეს.

ჩაქრა კანდელი სპეტაკ სულში ანთებული და მიიცვალა სამშობლოდან შორს მყოფი, ოღლად მავალი ვლ. დარჩიანიშვილი.

დღეს საქართველო კვლავ სტირის... წყვილით მოკულ არე-მარეში კვლავ ყრუ კენესა ისმის...

გადატყდა კალამი ერის მესვეურთა პლიადის ერთი საუკეთესო წევრის ალ. ყიფშიძისა.

ბედმა კვლავ წამება გვიძღვნა, ვინაიდან ობლად დავტოვა მან, ვინც აფურცლა სათუთი ფურცლები ჩვენის სისხლით ნაწურ ისტორიისა, გვიკითხა „მთიულეთი 1804 წ.“, „ამბობება კახეთისა“ და გვამცნო ის „კეთილი“ სურვილები და მიზნები, რომელიც ასულდგმულბედა ჩრდილოელთა ჩვენში მოსვლას.

საშუალოდ დახუტა თვალები მან, ვისაც გულს უწყულვებდა დაკარგვა ოდესღაც აღიდებულ მესხეთისა; ახალბედა ფრიად დიდ ეროვნულ-კულტურულ მუშაობას, ყოველ ღონეს ხმარობდა განმტკიცებია ის აზრი, რომ შოთას სამშობლო მთლიან საქართველოს განუყრელი ნაწილია და ადარებდა რა ძველსა და ახალ მესხეთს თვის აღმოცენესთან ერთად ამბობდა:

„Sic nrausit glaria mundi“ უწყალო ბედმა წავაგოთავა ის, ვინც გვამცნო სულიერი ღრამი მთის არწივის შამილისა, რომლის ზვიადი ბუნებაც ვერ ურიგდებოდა უცხოთა მოსვლას და მათ ფეხქვეშ ყოფნას.

ერის ტაძარს ბურჯი წაეკცა... საქართველო კვლავ სტირის...

მ ო წ ო დ ე ბ ა

ქუთაისის გუბერნიის მსხვერპლთა მიმართ სამხედრო უწყებებისთვის საქორა სამკურნალო მიზნით უმთავრესად ორი მცენარე:

1. კატა ბალახა (კატა პარია) vale priana გამხმარი ძირები ფუთი ელირება არა ნაკლებ 35 მანეთისა.

2. მალკურძენა ნელაძონა. გამხმარი ფოთლები ფუთი ელირება არა ნაკლებ 45 მანეთისა.

საქორა აგრეთვე ამ მცენარეთა თესლი, ვინაიდან განზრახულია მათი კულტურა და მოშენება დაწვრილებითი ცნობები ამ მცენარეთა დამზადების შესახებ მოაპოვება თბილისის ბოტანიკური ბაღის ფურცლებში, რომლის დარიგებასაც სხვა დასხვა სოფელში უკვე შეუდგეკით; აგრეთვე, სასოფლო ვაზეთის უკანასკნელ ნომერში.

წინადადებას გაძლევთ ახლავ შეუდგეთ ამ მცენარეთა მოგროვებას, თანახმად იმ დარიგებისა, რომელიც ზემო აღნიშნულ ფურცლებში მოაპოვება ის სათბობი მინდვრები, სადაც კატა ბალახა მოაპოვება, უმჯობესია მანამ არ გასთიროთ, სანამ ამ ძვირფასი მცენარის ძირებს არ ამოსხრით.

მისამართი: Кутаись Ивану Леонтьевичу Буачидзе. До востребования.

ინსტრუქტორი ი. მ. მარგველაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ეს ჩემი წერილი ბ. Proximus-ის საპასუხით მოათავსოთ თქვენს სატეგეზულ გაზეთს უახლოეს ნომერში.

ბ. Proximus! ვაჟ. „მეგობრის“ 77 №-ში წვეთავთ თქვენი წერილი ჩხარის ინტელექტუალის შესახებ; სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცეოთ ჩემი მოქმედებას და იმეორებით, თუ ვინ არს მთავარი და დღემდის შესისხლბრებულა ხსიათა სრულებით არ გამოვიცალო, ამ შემთხვევაში თქვენ განდით გამომავალბით ჩემი გამოწვევა მოქმედებაში.

შე არ შეეგებოთ წერილის ამ მანასს, რა. მუდოდ ესაა ჩემი თვალთვალის მიზანი. მეგობრისა, უფლებას მაქვს, ჩემს წერილზე ისე გავა-ტრანა დრო, როგორც შე მსურს, მათ უფრო, როდესაც ჩემი მოქმედება არავის ზიანს არ მოუტანს. შე მსგავსებაში მაქვს მხოლოდ თქვენი მუქარა და ამიტომ მოკითხოვთ თქვენგან გამომავალბით ჩემს შესახებ, რაც გუდასი გაქვთ. იცნაეთ მხოლოდ რომ დასაბუთებულა უნდა იქნას მოგვარი და არა ცარეული სიტყვები, აშენებული ჭორაგანობასა და ცდასწავებაზე.

სამართლის მოქმედი არასოდეს არ უნდა ეფარებოდეს რამე სიფარსს და თქვენც იმედა თქვენს ვინათას გამომავალბით ამ ჩემი წერილის დასტუების შემდეგ, თუ თქვენი პასუხი არ იქნა ერთი კვირის განმავლობაში, იძულებული ვიქნები მემართო სადაც ჯერ არს და იქ მოკითხოვთ პასუხი დაუმსხურებელი ცდასწავებასთვის.

ხსარის ავითაქის მართლადი ივ. დ. მუხაძე.

ქართველი სამღვდელთა და გლეხი.

მიმდინარე ომში, მსხვილ ვაჭრებსა და დიდ მოხელეებს გარდა, ყველა განსაცდელში ჩაავდო.

ბევრს მშვიდობიან მცხოვრებს სიკოცხლე გაუმწარა, ოჯახი გაუნადგურა და გალატაკების გზაზე დააყენა. ამ უბედურებას, რასაკვირველია, ვერც ქართველი სამღვდელთა ასცდა. კაი ხანია, რაც ქართველი სამღვდელთა ბედი და უბედობა, ჩვენს გამბედალბეებულ გლეხკაცობაზე დამოკიდებული. სასომხილოს, მშვიტ-მწყურვალ გლეხს თავის თავი ვერ უჩინებდა და ამ დროს სამღვდელთაგონის ჩრეხა შენახვა უმთავრესად მას აქვს დაკისრებული. კიდევ კარგი, როდესაც გლეხს მოხავალი ხელს უწყობს, მაშინ, ავად არის თუ კარგათ, მღვდლის ბევრასაც კიდევ გაუძლებს, მაგრამ მოუსალოდნელ შემთხვევაში რა ჰქნას საწყალობა გლეხში. ეს მესამე წელიწადია, რაც ქართველ გლეხს მოსავალმა უმტყუნა. თავის ცოლშვილისთვისაც არაფერი აქვს და მღვდელნი რა უნდა მისცეს? ბუნებისაგან მოვლენილ ამ რისხვას, მსოფლიო ომის საშინელება დაერთო და ამ გარემოებამ კი, მშრომელ გლეხკაცობასთან, უკიდურეს მდგომარეობაში ჩაავდო ქართველი სამღვდელთაგონი. ამისთანა უბედურობის შემს გლეხისაგან მღვდლის საზრდოს მოთხოვნა ყოვლად შეუძლებელია. მაშ, რა უნდა ეშველოს სამღვდელთაგონის უმრავლესობას ამ განსაცდელის დროს? ის ოცდაერთი მანეთი, რომელსაც ის ხაზინიდან ლეზულობს, ამ საარაკო სიძვირის დროს, რას უნდა გახედოს? ერთხელვე შედგარი აზრი, ვითომც მღვდელი მდიდარია, უსაფუძვლოა; ას მღვდელში ათს თუ ნახავთ ისეთს, რომ ინტელიგენტური ადამიანის ცხოვრების საშუალება ჰქონდეს, დანარჩენი—ოთხმოცდა ათი სულს დაფასე და ვალშია ჩავარდნილი, მაგრამ გამკითხავი არავინ ჰყავს; მრევლზე ისეა მიკრებული და შეჩვეული მისი დატოვება ადვილად ვერ მოუხერხებია, რომ სხვა გზით მარც არჩინოს რიგიანად თავი. ჩვენი სამღვდელთაგონის უმრავლესობა სამყოფს საკუთარ-ადგილმამულსაც მოკლებულთა და ეს გარემოება კიდევ უფრო აუარესებს მის ნივთიერ მდგომარეობას. ჩემთვის უწყუ-ნით ქართველი სამღვდელთაგონი თავის ნივთიერ მდგომარეობას ვერ გამოაკეთებს. აუცილებლათ საქორა ერთმანეთთან დაახლოვება და მტკიცე კავშირის შეკვრადარსება. მავალითი მან სახალხო მასწავლებლებისაგან უნდა აიღოს. მხოლოდ უჩინარეს ყოვლისა ფრიად საქორა ყო-

